ქალაქ რუსთავში აღმოჩენილ არაიდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებად პირთა სარიტუალო (დაკრძალვის) ხარჯების დაფარვის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს, ქალაქ რუსთავში აღმოჩენილი იდენტიფიცირებადი ან არაიდენტიფიცირებადი ადამიანების გარდაცვალების შემთხვევაში დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა

პროგრამით გათვალისწინებულია 14 გარდაცვლილის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1.აღნიშნული მომსახურების გასაწევად ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მომართავს შპს "გემა" (ს/კ №216402694) ქალაქში აღმოჩენილი არაიდენტიფიცირებადი ან იდენტიფიცირებადი უპატრონო მიცვალებულის თაობაზე.

2.მომართვას (წერილს) თან უნდა ერთვოდეს მოქალაქის გარდაცვალების მოწმობა.

3.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "გემას" შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია აანაზღაურებს გარდაცვლილი მოქალაქის სარიტუალო ხარჯებს 150,00 (ასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 2 100,00 (ორი ათას ასი ლარი და 00 თეთრი), რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	2 100,00 ლარი
I კვარტალი	600,00 ლარი
II კვარტალი	600,00 ლარი
III კვარტალი	600,00 ლარი
IV კვარტალი	300,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი